

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №1 იანვარი 2017 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

ქრისტეშობა
ოცახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო

ტროპარი

შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო,
აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკულავსა მსახურობენ, ვარსკულავისაგან ისწავეს თაყუანის-ცემაჲ შენი, მზეო, სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მადლით აღმოსავალთად. უფალო, დიდება შენდა.

კონდაკი

ქალწული დღეს არსებად უზესთაესსა შობს ჩვენთვის და ქუეყანასა ქვაბსა შეუხებელსა შესწირავენ, ანგელოსნი მწყემსთა თანა დიდების მეტყუელებენ, ხოლო მოგვნი ვარსკულავისა-თანა მოგზაურობენ, რამეთუ ჩუენთვის იშვა ყრმა ახალი პირველ საუკუენთა ღმერთი.

19 იანვარი

ნათლისღება

ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მადლი ეძლევა და, ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის მთელი წლის განმავლობაში ინახება და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღება.

8(21) იანვარი

წმინდა მოწამე აბო თბილელი († 786)

აბო თბილელი – ქრისტიანობისათვის წამებული არაბი, ნერსე ერისთავის მსახური, ნელსაცხებელთა ოსტატი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი, ხენების დღე არის ძვ. სტილით 8 იანვარი, ახალი სტილით – 21 იანვარი.

14(27) იანვარი

წმინდა ნინო

წმინდა ნინო – ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში (დაახ. 301-332 წწ.), მოციქულთასწორი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი.

წმინდანის სურვილისამებრ, მისი პატიოსანი გვამი ბოდბეში დაფლეს. შემდგომ, მის საფლავზე, მირიან მეფემ წმ. გიორგის სახელობის ტაძარი ააგო.

3(16) იანვარი – წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) † 1953

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი დაიბადა 1863 წლის 5 ივნისს, სოფელ ლიხაურში. გარდაიცვალა 1953 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქ-ოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. ცნობილია როგორც 1921-45 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის დამცველი, რის გამოც მას ეწოდა „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“.

2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდის განჩინებით, მოხდა ექვთიმე თაყაიშვილის კანონიზაცია და ეწოდა მას წმ. ექვთიმე ღვთისკაცი.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

4 იანვარი – დაბადების დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისა ილია II–ისა

ილია II (ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი) დაიბადა 4 იანვარს 1933 წელს ორჯონიკიძეში, რსფსრ.

ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1977 წლიდან.

2010 წლის 21 დეკემბრის სინოდის სხდომის გადაწყვეტილებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულატურა შემდეგნაირად განისაზღვრა: უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა.

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის დირექცია, პედკოლექტივი და მოსწავლე-ახალგაზრდობა ვულოცავთ მის უწმინდესობას დაბადების დღეს. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რომ მისი ლოცვა-კურთხევა კიდევ დიდხანს ეწეოდეს სრულიად საქართველოს.

მეუფის მილოცვა

ჩემო სულიერო დანო და ძმანო, მოხვეებო, გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულს. გისურვებთ წარმატებებს, ნაყოფიერ დღეებს, როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში. თითოეული თქვენგანის სულს, გულსა და გონებაში დაესადგურებინოს სულის მაცხოვნებელ სიმშვიდეს.

გფარავდეთ ღმერთი.

სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი მეუფე იეგუდიელი



გიმნაზიის პედკოლექტივი, მოსწავლეები და გიმნაზიის მესვეურები დაბადების დღეს ულოცავენ სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგურიელს. უსურვებენ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. მეუფეო, თქვენი ლოცვა-კურთხევა არ მოჰკლებოდეს მრევლს.

კაი ყმა

კაი ყმის მცნება ყველაზე კარგად ვაჟა-ფშაველას აქვს აღწერილი.

კაი ყმას სიკვდილის შიში არ უნდა ჰქონდეს, სისხლის ბოლო წვეთამდე უნდა იბრძოდეს, თავის ტკივილს სხვას არ უნდა აგრძნობინებდეს. კარგი ყმა მისაბაძი უნდა იყოს არა მარტო ბრძოლისა და სამშობლოს დაცვისას, ის გაჭირვებულსაც უნდა ეხმარებოდეს, ლაშქარს წინ მიუძღოდეს და მასზე დადარდიანებული ქალის ტირილი სიცილ-ხარხარი უნდა ეგონოს. ის სხვა ადამიანებისგან გამოირჩევა მამაცობითა და უშიშროებით.

კაი ყმა ყოველთვის იყო და იქნება საქართველოში. სწორედ მათ მოიყვანეს საქართველო დღემდე. დავით აღმაშენებლის, დემეტრე თავდადებულის, ერეკლე მეფისა და სხვათა ბრძნულმა გადაწყვეტილებებმა საქართველო მომავალ თაობებს შეუნარჩუნეს და არა მარტო მეფეებმა, უბრალო ხალხის წრიდან გამოსული რამდენი გმირი გვყავს, გიორგი სააკაძე, ბაში-აჩუკი და სხვა.

1941-1945 წლებში სამშობლოს დაცვას 245-მა მოხევემ შესწირა თავი. უახლესი ისტორიის გმირები კი განსაკუთრებულად უნდა მოვიხსენიოთ. ესენია: მოხევე ვასილ და ნუკრი წიკლაურები და მათი ბიძაშვილები დედის მხრიდან, თეიმურაზ და ზურაბ ზალდასტანიშვილები, რომელთა დედა – ბელა წიკლაური-ზალდასტანიშვილი ასევე მოხევეა. ერთად გაზრდილი ძმები ვასილი, ნუკრი, თეიმურაზი და ზურაბი აფხაზეთის ომში გმირულად დაიღუპნენ.

უნდა გვახსოვდეს გიორგი ანწუხელიძე, რომელმაც სამაჩაბლოში ომის დროს ქართული დროშა ფეხით არ გათელა, რის გამოც ის მტრებმა წამებით მოკლეს.

სულ ორიოდე წლის წინ არქიმანდრიტმა ილია კარტოზიამ სიკვდილისაგან იხსნა დედა და შვილი, თვითონ კი ზღვაში დაიხრჩო. გმირები მარტო წარსულში არ იყვნენ, გმირები თანამედროვე საქართველოშიც არიან.

ადამიანები ხშირად სიცოცხლეშივე ვერ ვაფასებთ კაი ყმას. ამაზეა ეს ლექსიც:

„კარგ ყმასა სწუნობს სოფელი,
იტყვიან კარგი რად არი?!
როცა კი გაუჭირდებათ,
ყველა კითხულობს – სად არი?..“

მე მომწონს ვაჟა-ფშაველას მოსაზრება „კაი ყმის“ შესახებ. მეც ასევე ვფიქრობ: კაი ყმა უნდა იყოს ძლიერი, ვაჟკაცი, მომთმენი, თავმდაბალი, თავის ქვეყანაზე შეყვარებული და სიკეთის მთესველი.

ავთანდილ ხულელიძე
გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე

არდადეგები გუდაურში



ზამთრის არდადეგები ძალიან საინტერესოდ და ხალისიანად გავატარე. მეც სხვა გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად ვისვენებდი სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ყაზბეგის მუნიციპალიტეტს. მათი შერჩევით მოვხვდით გუდაურის „მთის სახლის“ სპორტულ სკოლაში. სწავლება ათი დღე გაგრძელდა. ბავშვები მთელ დღეს აქტიურად ვატარებდით. დღეს ვარჯიშით ვიწყებდით და შემდეგ სასრიალოდ გავდიოდით. ჩვენმა მწვრთნელმა ბაკურიმ სრიალი კარგად შეგვასწავლა. ბავშვები მას დავუახლოვდით და დავუმეგობრდით. ჩვენ ბევრი სხვა სკოლის მოსწავლე გავიცანით და მეგობრებიც შევიძინეთ. საღამოს ყველანი სპორტულ სკოლაში ვბრუნდებოდით, ვვახშმობდით, ვთამაშობდით, ვყვებოდით სახალისო ამბებს.

მწვრთნელებმა თხილებურებით სრიალი კარგად შეგვასწავლეს. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყაზბეგის მუნიციპალიტეტს და მწვრთნელ-მასწავლებლებს, რომელთაც ბავშვებს არდადეგებზე ხალისიანდი და ბედნიერი დღეები გვაჩუქეს. ყველამ სამახსოვრო არდადეგები გავატარეთ გუდაურში.

თამუნა ქუშაშვილი. VII კლასი

2017 – მრავალ ახალ წელს, ჩემო საქართველოვ!

შობის ღამე დგებაო...

შობის ღამე დგებაო,
სასწაული ხდება.
წმინდა სანთელს ავანთებთ
ფანჯრის სარკმელზედაო.

შობის ღამეს მოვიხმობთ
დედა ღვთისმშობელსაო!
სახლი მისი სტუმრობით,
მადლით აგვევსებაო.

შობის ღამე დგებაო,
ქრისტე იბადებაო,
ყველა სასწაული ხომ
შობის ღამეს ხდებაო.

„ეს ერთად ყოფნა რა ლამაზია“

კვლავ გვეწვია ახალი წელი. ახალი სიხარულისა და იმედების დასაწყისი. ახალი წელი ხომ განსაკუთრებით ბავშვებს გვახარებს. ამიტომაა, რომ გიმნაზიის ხელმძღვანელობა ადრევე იწყებს მზადებას იმისთვის, რომ ჩვენ საზეიმო განწყობილება შეგვიქმნას. ვემზადებით კონცერტისათვის. გვწამს, რომ ეს სიხარული მთელი წლის მანძილზე გაგვყვება. უფროსების ასეთ მზრუნველობას რომ ვხედავთ, ჩვენც სტიმული გვეძლევა. გვინდა კარგად ვისწავლოთ და გავახაროთ მშობლები, მასწავლებლები და ყველა, ვინც ჩვენ იმედის თვალით შემოგვცქერის. წელსაც ჩვენს გიმნაზია-პანსიონში საშობაოდ საზეიმო კონცერტი გაიმართა. ბევრი ადამიანი იყო მოწვეული და ჩვენთან ყოფნა ყველას უხაროდა. კონცერტი გახსნეს მე-6-მე-7 კლასის მოსწავლეებმა. ისინი იყვნენ შობის მახარებლებები და დამსწრე საზოგადოებას მათვე ახარეს შობა-ახალი წლის შემობრძანება.

მახარობლები მეუფესთან ერთად

დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა ზღაპრულ სამყაროში ამოგზაურეს მსმენელები. ისმოდა საგალობლები, სიმღერებს, ცეკვასა და მხატვრულად წაკითხულ ლექსებს ბოლო არ უჩანდა. მართლაც „რა ლამაზია ეს ერთად ყოფნა“.

კონცერტის ბოლოს მეუფე იეგუდიელმა დალოცა საქართველო, ხევი და იქ მყოფი საზოგადოება. მოსწავლე-ახალგაზრდობას უსურვა კარგი სწავლა და წარმატებული მომავალი.

კონცერტის ბოლოს მოსწავლეებს დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები.

გახარებული და კმაყოფილები გავეშურეთ სახლებისაკენ, რომ კარგად დავისვენოთ და II სემეტრში ახალი ენერგიით გავაგრძელოთ სწავლა.

მრავალ ახალ წელს, ჩემო სამშობლოვ!

ანი გელაძე
VIII კლასი

გიმნაზია-პანსიონის სამხატვრო სტუდიის ბავშვების საახალწლო გამოფენა

სიკეთე უსასრულოა

უფალმა სამყარო სიკეთისათვის შექმნა. ამდენად ლოგიკურია, რომ ადამიანიც სიკეთის გასაკეთებად უნდა შექმნილიყო. „და სიკეთისთვის შეიქმნა ადამიანი“.

თავდაპირველად სამყაროში ერთპიროვნული სიკეთე სუფევდა, მაგრამ ადამისა და ევას შეცოდების შემდეგ დედამიწაზე ბოროტებამ დაისადგურა. ამიტომაა, რომ ადამიანებს სიკეთის კეთება უკვე სასწავლი გაუხდა, ე. ი. ჩვენ ბავშვობიდან და ახალგაზრდობიდანვე სიკეთის კეთებას უნდა შევეჩვიოთ. ჩემთვის პირადად, სიკეთე და კეთილი საქმის კეთება ძალიან მნიშვნელოვანია. ვხედავ რამდენი გაჭირვებული და უიმედო ადამიანი ცხოვრობს ჩემს ქვეყანაში. მე ყოველთვის ვცდილობ რამით დავეხმარო მათ, რადგან ვხედავ, როდესაც ჩვენ ბედნიერად ვცხოვრობთ და არაფერი გვაკლია, შეიძლება ამ დროს ვინმე გარეთ სიცივეში იყოს და ამ ყველაფერზე ოცნებობდეს. შინაგანი კმაყოფილება მეუფლება, როდესაც ტელევიზორში საქველმოქმედო საღამოები ტარდება. რამდენი გაჭირვებული ბავშვისა და ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს მათ, რამდენ უსახლკარო ოჯახს ეღირსა თავზე ჭერი. საზოგადოება დიდი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით არის განმსჭვალული „იავნანასა“ და „ნატვრის ხის“ ფონდების მიმართ. ჩვენ, ახალგაზრდებმაც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენთვის ერთმა უმნიშვნელო „ლარმა“ რამდენი სიკეთე შეიძლება მოუტანოს ამ გაჭირვებულებს. ერთმა თბილმა სიტყვამ შეიძლება უფსკრულის პირას მისულ ადამიანს ისცოცხლე შეუნარჩუნოს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის სიკეთე, რასაც დღეს გავაკეთებთ ან დავთესავთ, ჩვენ მომავალ თაობას სასიკეთოდ წაადგება. ტყუილად არ უთქვამთ ჩვენ ბრძენ წინაპრებს: „სიკეთე ქენ, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდება“-ო. სიკეთე უსასრულოა, სიკეთე შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს.

მიხარია, როდესაც ადამიანები ერთმანეთის გადასარჩენად ერთიანდებიან, აი, მაშინ ხდება სიკეთე გადამდები. ეს გადაარჩენს კაცობრიობას.

ქეთი გიორგაძე. გიმნაზიის X კლასის მოსწავლე

პეპელა და ფუტკარი

მინდვრიდან ფუტკარს თაფლი მოჰქონდა და მიეშურებოდა თავის სკაში. გზაზე შემოეყარა ჭრელი, მორთული პეპელა და ამაყად დაუყვირა:

– ეი, შენ, თხუპნიავ, იქით ჩამომეცალე, ტანისამოსი არ გამისვაროო!

ფუტკარს ჯერ გული მოუვიდა და იფიქრა: „ახი არ იქნება, რომ ამ ბრიყვს ჩემი შხამიანი ისარი ვკრა და ფეხები გავაფშეკინოო“. მაგრამ მალე აზრი შეიცვალა და თქვა: – რა ვაჟკაცობა იქნება, ძალა ვიხმარო ამ სუსტ და უიარაღო სულდგმულზე. ისა სჯობია, სულგრძელობით და თავაზიანად მოვექცეო.

ჩამოეცალა გზიდან და ცოტა დაცინვის კილოთი უთხრა:

– მიბრძანდი, ქალბატონოო!

იაკობ გოგებაშვილი

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ წიკლაური, თემო გუჩუკური.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია- პანსიონი